საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1/478

ქ. თელავი 7 სექტემბერი 2015 წ.

2015-2016 სასწავლო წლისათვის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურაში სტუდენტთა მიღების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და 49-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, თესაუ-ს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოს (დოქტურანტურის) დებულებების და ფაკულტეტების დეკანების წარდგინებების (01.09.2015 – N 507, N 506, 02.09.2015 N 513, 07.09.2015 N 515, N 517) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში 2015-2016 სასწავლო წლისთვის სტუდენტთა მიღება განხორციელდეს შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. ეკოლოგია - 5 ადგილი
2. მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია - 2 ადგილი
3. ბიომრავალფეროვნება - 3 ადგილი
4. კომპიუტერული მეცნიერება - 5 ადგილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. ფილოლოგია
   ქვედარგი -ქართული ლიტერატურა - 5 ადგილი
   ქვედარგი - ტიპოლოგიური ლინგვისტიკა - 5 ადგილი
2. ახალი და უახლესი ისტორია - 3 ადგილი
3. ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა - 3 ადგილი

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. განათლება – 10 ადგილი
   -განათლების მეცნიერებები - 5 ადგილი
   -ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა - 5 ადგილი

აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია - 5 ადგილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი

1. გამოყენებითი ეკონომიკა - 5 ადგილი

2. დოქტორანტურაში ჩარიცხვა მოხდეს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად;

3. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს განცხადება რექტორის სახელზე შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების სურვილისა და ჩასაბარებელი უცხო ენის მითითებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ა) მოკლე სამოტივაციო წერილი, სადაც დასაბუთებული იქნება კვლევითი ინტერესები და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების სურვილი;
ბ) განმცხადებლის ავტობიოგრაფია-CV;
გ) 2 ფოტოსურათი ზომებით 3X4;
დ) პირადობის მოწმობის ასლი /დედანთან ერთად/;
ე) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის დამოწმებული ასლი /დედანთან ერთად/ (მაგისტრის დიპლომთან გათანაბრებული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან დიპლომის ნამდვილობის დადასტურების დოკუმენტი. თუ ვერ

ხერხდება აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა მისაღებ გამოცდამდე იგი შესაძლებალია წარმოდგენილ იქნას უნივერსიტეტში ჩარიცხვიდან 6 თვის ვადაში) ;

ვ) სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა;

ზ) 50 (ორმოცდაათი) ლარის გადახდის ქვითარი.

და სხვა დამატებით, თუ ასეთს ითვალისწინებს რომელიმე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება;

4. საბუთების მიღება იწარმოებს 2015 წლის 9 სექტემბრიდან 2015 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით.

საბუთების პირველადი შემოწმება მოხდეს ფაკულტეტებზე, სადისერტაციო საბჭოს მდივნების მიერ. შემოწმების შემდეგ საბუთების დედნები უბრუნდება წარმომდგენს. სადისერტაციო საბჭოს მდივანი ვიზირებულ განცხადებას დანარჩენ საბუთებთან ერთად საბუთების მიღების დასრულებისას აბარებს უნივერსიტეტის კანცელარიას;

5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები გამოცდები (სპეციალობა, უცხო ენა) ჩატარდეს 2015 წლის 5 ოქტომბერს. გამოცდა ჩატარდება, თუ პროგრამაზე ჩასარიცხ კონკურსანტთა რაოდენობა არ იქნება 2-ზე ნაკლები;

6. გამოცდების შედეგები გამოცხადდეს 2015 წლის 6 ოქტომბერს;

7. დოქტორანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს 2015 წლის 7 ოქტომბერს;

8.დაევალოთ ფაკულტეტის დეკანებს:

ა. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ბ. საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად 2015 წლის 11 სექტემბრამდე უზრუნველყონ სპეციალობის საგამოცდო საკითხების ვებ–გვერდზე განთავსება.

გ. სპეციალობაში საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების შექმნაზე წარდგინების წარმოდგენა 2015 წლის 28 სექტემბრამდე;

დ. მისაღებ გამოცდაზე დაშვების შესახებ წარდგინებების წარმოდგენა 2015 წლის 29 სექტემბერს;

ე. დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ წარდგინებების წარმოდგენა 2015 წლის 6 ოქტომბერს;

9. დამტკიცდეს დოქტორანტურის სასწავლო განრიგი:

ა. 2015-2016 სასწავლო წელი დაიწყოს 2015 წლის 12 ოქტომბერს;

ბ. სემესტრების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

- I სემესტრი დაიწყოს 2015 წლის 12 ოქტომბერს და დასრულდეს 2016 წლის 19 თებერვალს;
- II სემესტრი დაიწყოს 2016 წლის 29 თებერვალს და დასრულდეს 2016 წლის 22ივლისს;

გ. სესიები ჩატარდეს შემდეგი გრაფიკით:

- ზამთრის სესიები დაიწყოს 2016 წლის 25 იანვარს და დასრულდეს 5 თებერვალს დამატებითი სააგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2016 წლის 1-16 თებერვლით, ინტენსიური კურსის ვადები განისაზღვროს 2016 წლის 22 თებერვალი-4 მარტით,
- ზაფხულის სესიები დაიწყოს 2016 წლის 13 ივნისს და დასრულდეს 1 ივლისს,

დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2016 წლის 24 ივნისი-13 ივლისით, ინტენსიური კურსის ვადები განისაზღვროს 2016 წლის 18 ივლისი-5 აგვისტო,

დ. ზამთრის არდადეგები დაიწყოს 2016 წლის 20 თებერვალს და დასრულდეს 28 თებერვალს;

ე. ლექციის ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წუთით, შესვენება 10 წუთით.

10. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას სამსახურის დადგენილი წესით ამ ბრძანების მიწოდება თესაუ–ს ფაკულტეტებზე, ხარისხის უზრუნველყოფის და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურებთან;

11. დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს /ა. ღაღანიძე/ წინამდებარე ბრძანების განთავსება თესაუ-ს ვებ.გვერდზე;

12. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად;

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

უნივერსიტეტის რექტორი: ირმა შიოშვილი